აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ. აბაშა, 2023 წლის 22 ნოემბერი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: **აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დ.ცანავა.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის **წევრები:** მურთაზ ჯალაღონია,იაგო თოდუა,დიმიტრი ვერულაშვილი,დავით კაჭარავა. სხომას არ ესწრებოდა კოკი ჩაჩავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე.

მომხს: დ.ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე.

მომხს: დ.ცანავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: დ.ვერულაშვილმა ,ი.თოდუამ, დ.კაჭარავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 78-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1.100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა გაიზარდოს 1500 ლარამდე.

2. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) გაიზარდოს 5000 ლარამდე.

3.გაიზარდოს მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანის დახმარების პროგრამა 2000 ლარამდე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: დ.ცანავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო- საბიუჯეტო კომისია

0200. აბაშა, უ.კაჭარავას ქ. N1

22.11.2023 წ

დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 78-ე მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1. 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა გაიზარდოს 1500 ლარამდე.
2. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) გაიზარდოს 5000 ლარამდე.
3. გაიზარდოს მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანის დახმარების პროგრამა 2000 ლარამდე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ.ცანავა.